ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3583672

ნომერი: AR1531846

თარიღი : 10.08.2017

გაცემის თარიღი : 09.10.2017

გაცნობის თარიღი : 09.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტაშკენტი , ბოლოს , (ნაკვეთი 06/039) / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კალაძე პ/ნ 01005005267
- ბათუმის ქ.9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის № 2481087 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 აგვისტოსს AR1531846 განცხადებით მომართა გიორგი კალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის №2481087 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის №

2481087 ბრძანებით, 01.10.18.006.039 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2089 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)-ში, საზოგადოებრივი კვების ობიექტის – რესტორნის აშენების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის 2015 წლის 29 დეკემბრის #60, 2016 წლის 4 მარტის N10 ოქმების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 იანვრის N40, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 31 მარტის N1-532 ბრძანებების გათვალისწინებით 2016 წლის 15 მარტის № 2481087 ბრძანებით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
აღნიშნული საკადასტრო ერთეულისთვის განაშენიანების კოეფიციენტი კ1 განისაზღვრა 0.4-ით. ამჟამად, შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო კოდი: 01.10.18.006.158 განცხადების ნომერი: 882017624258 მომზადების თარიღი: 17/07/2017 ფართობი: 2598 კვ.მ). ამასთან, განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტს დაემატოს საგამოფენო დარბაზი.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 იანვრის N40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის საკითხი (კერძოდ, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1=0,4) და განახლებული ფუნქციის (საგამოფენო დარბაზი) დაფიქსირება) განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა 2017 წლის 21 სექტემბრის N38 საჭომ და გაიცა დადებითი რეკომენდაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს 2017 წლის 10 აგვისტოს AR1531846 განცხადება და ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის №2481087 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის № 2481087 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა: (განცხადების ნომერი: 882017624258 მომზადების თარიღი: 17/07/2017) საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: N01.10.18.006.158; ფართობად 2598 კვ.მ;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის №2481087 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს საზოგადოებრივი კვების ობიექტი – რესტორანი და საგამოფენო დარბაზი.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის №2481087 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 03 ოქტომბრის N1-2158 ბრძანება;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის №2481087 ბრძანებასთან ერთად;

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.